პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2024 წლის .....

ქ.თბილისი

სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესი

მუხლი 1.

„სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტით და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს „სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესი“ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს .....

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

DRAFT

სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესი (შემდეგში – წესი) აწესრიგებს სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და განსაზღვრავს სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის პირობებს და პროცედურებს.

2. გარდა ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნებისა, სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაცია რეგულირდება საქართველოს კანონებით „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

3. სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციას ახორციელებს სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდეგში - სააგენტო).

მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო

1.ეს წესი მიზნად ისახავს სურსათით საქველმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას.

2.ამ წესით განსაზღვრული ავტორიზაცია შეიძლება გაიცეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ ან მეწარმე სუბიექტზე, აგრეთვე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციების საქართველოში არსებულ ფილიალზე (ავტორიზაციის მაძიებელი).

3. ამ წესით დადგენილი ავტორიზაცია ვრცელდება :

ა) სურსათის შეწირულობის სახით გამცემ პირზე;

ბ)შეწირული სურსათის მიმღებ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციაზე/სურსათის ბანკზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტორიზაცია - პროცესი, რომელიც მოიცავს სურსათის მიწოდების ჯაჭვში მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირის რეესტრში შეტანას და სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის დაშვებას;

DRAFT

ბ) ავტორიზაციის მაძიებელი - ავტორიზაციის შესახებ განაცხადის შემტანი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

გ) ავტორიზაციის პირობები - ამ წესით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტორიზაციის მაძიებელი ავტორიზაციის მისაღებად და სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად;

დ) სურსათის შეწირულობის გამცემი პირი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს სურსათის მიწოდების სრულ ციკლში და ახდენს სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის/სურსათის ბანკისთვის ან უშუალოდ ბენეფიციარისათვის სურსათის უსასყიდლოდ გადაცემას;

ე) შეწირული სურსათის მიმღები სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს სურსათის მიწოდების ჯაჭვში და ახდენს სხვა სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის/სურსათის ბანკისთვის ან უშუალოდ ბენეფიციარისათვის სურსათის უსასყიდლოდ გადაცემას ან შეწირულობის სახით გაცემული ჭარბი სურსათის შეგროვებას, შენახვას, აღდგენასა და გადანაწილებას;

ვ) ავტორიზებული პირი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ადმინისტრაციული აქტით მინიჭებული აქვს სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების უფლება.

2. ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება ასევე „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ , „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები

1. სურსათის შეწირულობის სახით გამცემი პირი და/ან შეწირული სურსათის მიმღები სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი სურსათით საქველმოქმედო საქმიანობას განახორციელებენ მხოლოდ ამ წესით განსაზღვრული ავტორიზაციის პირობების დაკმაყოფილების შემდეგ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ავტორიზაციის გაცემა, გაცემაზე უარის თქმა, შეჩერება და გაუქმება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად.

3. ავტორიზაციის მაძიებელი ან მისი წარმომადგენელი, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ავტორიზაციის გავლის შემდეგ, რეგისტრირებული უნდა იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

DRAFT

(შემდგომში – სააგენტო) სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზებულ პირთა რეესტრში.

მუხლი 5. ავტორიზაციის პირობები

1. ავტორიზაციის მაძიებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, როგორც ბიზნესოპერატორი, რეგისტრირებული უნდა იყოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

2. ამ წესით განსაზღვრული ავტორიზაციის მაძიებელს, თუ ის წარმოადგენს შეწირული სურსათის მიმღებ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, მინიჭებული უნდა ჰქონდეს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

3. ამ წესით განსაზღვრული ავტორიზაციის მაძიებელი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონის - „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით“, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით - „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“, „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“, ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“, “სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ”, „სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესით“ დადგენილ მოთხოვნებს.

4.ავტორიზაციის მაძიებელი უნდა იყოს აღიარებული ბიზნესოპერატორად, თუ მისი საქმიანობა, საქართველოს მთავრობის დადგენილების - „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, ექვემდებარება აღიარებას.

5. გარდა ამ მუხლის პირველი, მე-2-4-ე პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა, სურსათის მიმღებ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს:

ა) დანერგილი უნდა ჰქონდეს და განახორციელოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპებზე დაფუძნებული პროცედურები;

ბ) უნდა ფლობდეს ან იჯარით ჰქონდეს აღებული სათავსო(ებ)ი სურსათით საქველმოქმედო საქმიანობისათვის, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჰიგიენის მოთხოვნებს;

გ)შეწირული სურსათის ტრანსპორტირებისათვის, უნდა ფლობდეს ან იჯარით ჰქონდეს აღებული ან დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის ტრანსპორტირებისადმი მოთხოვნებს;

დ) დანერგილი უნდა ჰქონდეს ანგარიშგების სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს სააგენტოს განახორციელოს შეწირული სურსათის, მისი შენახვის და განაწილების სახელმწიფო კონტროლი.

ე) შემუშავებული და დამტკიცებული უნდა ჰქონდეს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა.

მუხლი 6. ავტორიზაციის პროცედურები

1.ავტორიზაციის მინიჭებისათვის ავტორიზაციის მაძიებელი წერილობითი განაცხადით მიმართავს სააგენტოს.

2.თუ ავტორიზაციის მაძიებელი არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას და/ან დისტრიბუციას, განაცხადში უნდა მიეთითოს ავტორიზაციის მაძიებლის:

ა) სახელწოდება;

ბ) სამართლებრივი ფორმა;

გ) საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი;

დ) ეკონომიკური საქმიანობის ადგილი (მისამართი);

ე) ეკონომიკური საქმიანობის სახე (სექცია, განყოფილება, ჯგუფი, კლასი, ქვეკლასი);

ვ) ამონაწერი ეკონომიკური საქმიანობის რეესტრიდან;

ზ) ბიზნესოპერატორის აღიარების/პირობითი აღიარების ნომერი (არსებობის შემთხვევაში);

3.თუ ავტორიზაციის მაძიებელი არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი, განაცხადში მითითებული უნდა იქნეს:

ა) სახელწოდება;

ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;

გ) ამონაწერი ეკონომიკური საქმიანობის რეესტრიდან;

4. განაცხადთან ერთად, შეწირული სურსათის მიმღებმა სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციამ/სურსათის ბანკმა, უნდა წარადგინოს:

ა) საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა;

DRAFT

ბ) დოკუმენტი, რითაც დასტურდება სტატუსი არ არის გაუქმებული ან შეჩერებული;

გ) ხელმძღვანელი ორგანოს და ფილიალების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მისამართები;

დ) ძირითადი საქმიანობა;

ე) ორგანიზაციის წესდების ასლი;

ვ) ბოლო წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობის (პროექტების, მომსახურების) აღწერას;

კ) შენობა-ნაგებობების და/ან სათავსოების საკუთრების ან იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ლ) სურსათის მიწოდების ჯაჭვში გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალებების საკუთრების ან იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მ) შეწირულობის სახით გაცემული ჭარბი სურსათის შეგროვების, შენახვის, აღდგენისა და გადანაწილებისათვის საჭირო ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

5. ამ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტით პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განაცხადის და დოკუმენტების განხილვისათვის სააგენტომ 14 დღის ვადაში უნდა შეამოწმოს განაცხადი და განაცხადთან ერთად წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

6. თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემოწმებისას დადგენილი იქნება შეუსაბამობა, სააგენტომ ამის შესახებ უნდა აცნობოს ავტორიზაციის მაძიებელს.

7. ავტორიზაციის მაძიებელმა 14 დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს შეუსაბამობის გამოსწორება.

8.სააგენტომ განაცხადის და სრულყოფილი დოკუმენტების წარდგენიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა განახორციელოს ავტორიზაციის მაძიებლის ინსპექტირება და ავტორიზაციის პროცედურების დასრულება.

9. ავტორიზაციის მაძიებელს ენიჭება ავტორიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა, ინსპექტირების შედეგების მიხედვით, სრულად შეესაბამება ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

10. ავტორიზაციის მაძიებელს ავტორიზაცია ენიჭება 5 წლის ვადით.

11. ავტორიზებულ პირზე გაიცემა სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის სერტიფიკატი.

12. სააგენტო აწარმოებს ავტორიზებული პირების ერთიან რეესტრს. რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი მონაცემები:

ა) ორგანიზაციის სახელწოდება;

DRAFT

ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი;

გ) ხელმძღვანელი ორგანოს, ფილიალებისა და წარმომადგენლობების მისამართები, სადაც განხორციელდება სურსათით საქველმოქმედო საქმიანობა;

გ) ავტორიზაციის გაცემის თარიღი და სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის სერტიფიკატის ნომერი.

13. ავტორიზებულ პირთა ერთიანი რეესტრი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

14. სააგენტოს მიერ შემუშავებული უნდა იქნეს:

ა) სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის ნომრის მინიჭების წესი;

ბ)სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის განაცხადის ფორმა;

გ) სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის სერტიფიკატის ფორმა.

მუხლი 7. ავტორიზაციაზე უარი, ავტორიზაციის შეჩერება, ავტორიზაციის გაუქმება

1. ავტორიზაციიაზე უარის საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი არასწორი მონაცემები და არასწორი/ყალბი დოკუმენტები;

ბ)ავტორიზაციის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის პირობებს.

2. ავტორიზებული პირის საქმიანობის შეჩერება ხდება სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე:

ა) ავტორიზებული პირის ინიციატივით;

ა) ავტორიზაციით განსაზღვრული ვადის გასვლისას;

ბ) სურსათით საქველმოქმედო საქმიანობაში გამოვლენილი კრიტიკული შეუსაბამობის გამო.

3. ავტორიზაციის გაუქმების საფუძველია:

ა)ავტორიზებული პირის ინიციატივა;

ბ)ავტორიზებული პირი არღვევს ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

გ)სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს გაუუქმდა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაცია;

დ) თუ ავტორიზაციის მინიჭებიდან 12 თვის განმავლობაში არ განახორციელებს ამ წესით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

4. თუ ავტორიზებულ პირს შეჩერებული ან გაუქმებული აქვს ავტორიზაცია და ის განცხადებით მიმართავს სააგენტოს ავტორიზაციის აღდგენის თაობაზე, განცხადების მიღებიდან გონივრულ ვადაში სააგენტომ ადგილზე უნდა განახორციელოს ინსპექტირება. სააგენტოს მიერ ავტორიზაციის განახლება ხდება

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის საქმიანობა, ინსპექტირების შედეგების მიხედვით, სრულად შეესაბამება ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 8. ავტორიზებულ პირთა ვალდებულებები

1. ავტორიზებული პირი ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს სააგენტოსთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) შეწყვიტოს საქმიანობა, თუ სააგენტო შეუჩერებს ან გაუუქმებს ავტორიზაციას;

2. ერთიან რეესტრში შეტანილი ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში ავტორიზებული პირი ვალდებულია ცვლილებისთანავე წერილობით აცნობოს სააგენტოს ამ ცვლილების შესახებ.

მუხლი 9. გასაჩივრების წესი

1.ავტორიზაციის მაძიებლისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის, ავტორიზაციის შეჩერების ან გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

DRAFT